

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ბატონო გიორგი,


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“
88-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის
2015 წლის 12 ოქტომბრის N10/18518 წერილის თანახმად გიგზავნით, საკრებულოს წევრის
ანგარიშს.

დანართი: „4“ ფურცელი.

პატივისცემით,
სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე



ნუგზარ მალალურაძე



N 10/18518 30.10.15 გ.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს წევრის ნუგზარ მალაღურაძის

2015 წლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 44-ე, 45-ე, 47-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“-ს მე-12-ე, მე-13-ე მუხლების თანახმად, საანგარიშო პერიოდში, როგორც საკრებულოს წევრმა მონაწილეობა მივიღე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 39 და საკრებულოს 25 სხდომაში, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის 34 სხდომაში, ჩავატარე სარევიზიო კომისიის 13 სხდომა. ვმონაწილეობდი ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოსთვის“ მიერ გამართულ - 16 სხდომაში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის მიერ გამოცხადებულ და ჩატარებულ მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიაში.

გახლავართ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს წევრი. საბჭოს მიერ მიმდინარე პერიოდამდე ჩატარდა საბჭოს 25 სხდომა, სადაც დაახლოებით განხილულ იქნა 1125 საკითხი. ასევე ვმონაწილეობ, სსიპ „ქონების მართვის სააგენტო“-ში შექმნილ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვის მიზნით დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული საკითხების შემსწავლელ კომისიაში, სადაც კომისიის მიერ ჩატარებულია კომისიის 4 სხდომა და განხილულია 19 საკითხი.

მონაწილეობა მივიღე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 101 დადგენილებისა და საკრებულოს 380 განკარგულების მიღებაში. როგორც საკრებულოს წევრმა და ამავე დროს, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ინიცირების წესით წარვადგინე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის დებულებაში ცვლილებების განხორციელების შესახებ“ და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ პროექტები.

მოქალაქეთა მიღებაზე და ასევე სამუშაო შეხვედრის ფარგლებში მივიღე და მოვუსმინე სულ 430 მოქალაქეს. შევისწავლე და კომპეტენციის ფარგლებში რეაგირეაგირება მოვახდინე მოქალაქეთა 33 განცხადებაზე. სარევიზიო კომისიასთან ერთად შევისწავლე და რეაგირება მოვახდინე ასევე, კომისიის სახელზე შემოსულ 15 კორესპოდენციაზე (განცხადება, საჩივარი, წინადადება).

როგორც საკრებულოს წევრმა და ამავე დროს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ უფლებამოსილების ფარგლებში განვახორციელე 50 მიმოწერა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან.

ადგილობრივი თვითმმართველობის დაქვემდებარებაში საქალაქო სამსახურების, რაიონული გამგეობების, სსიპ-ების, ააიპ-ებისა და შპს-ების სახით ირიცხება დაახლოებით 313 სამსახური, რომელთა მიერ საბიუჯეტო თანხებისა და მიღებული შემოსავლების ხარჯვის კანონიერებასა და მიზნობრიობის სარევიზიო შემოწმებას, კანონმდებლობის ფარგლებში ახორციელებს სარევიზიო კომისია, როგორც სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ უფლებამოსილების ფარგლებში, სარევიზიო კომისიასთან ერთად, სარევიზიო კომისიის სამუშაო გეგმის თანახმად, 2014 წლის მეორე ნახევრიდან - 2015 წლის მიმდინარე პერიოდამდე სარევიზიო შემოწმება ჩავატარეთ სულ 80 (2014წ.-33ობიექტი - 2015წ. 47-ობიექტი) ორგანიზაციაში, მაშინ, როდესაც 2012, 2013 და 2014 წლის პირველ ნახევარში სულ შემოწმებულია 29 ორგანიზაცია (მათ შორის 2012 წ-2; 2013წ-12 და 2014წ. I-ნახევარში -15 ორგანიზაცია).

შემოწმების პროცესში გამოვლენილი დარღვევების უმეტესი ნაწილი ატარებდა სისტემურ ხასიათს, რის საშუალებასაც იძლეოდა მოქმედ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები. მაგალითად, რაიონული გამგეობების შემოწმების პროცესში ძირითადად გამოიკვეთა დარღვევები სოციალური დახმარებების კუთხით, უპირველესად მოუწესრიგებელი და ჩამოუყალიბებელი იყო სოციალური დახმარებების გაწევის წესი და პირობები. ძირითადად დახმარებების გაწევა ხორციელდებოდა თვითშეხედულებით, შემოსული განცხადებებით აღწერილი, განმცხადებლის ეკონომიკურ-მატერიალური სიტუაციების ყოველგვარი სათანადო შესწავლა-მოკვლევის გარეშე, ხოლო მოკვლევის შემთხვევებში წარმოდგენილი დასკვნები ატარებდა ფორმალურ და შაბლონურ ხასიათს. გადაწყვეტილებები მიიღებოდა ერთპიროვნულად და არა კომისიური განხილვის წესის შესაბამისად, რომელიც შემდგომ შეიცვალა და ჩამოყალიბდა დღეს არსებული სახით, სადაც ზუსტად და მკაცრად არის ჩამოყალიბებული ის კატეგორიები და კრიტერიუმები თუ, ვის რა სახის და ოდენობის დახმარება შეიძლება გაეწიოს ბიუჯეტის ხარჯზე.

პრობლემები დაფიქსირდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების დაფინანსებების კუთხითაც. აღნიშნული პროგრამითაც დაფინანსებები ასევე გაიცემოდა პირადი შეხედულებებით. კერძოდ, ადგილი ჰქონდა დოკუმენტაციის ხშირ შემთხვევებში დაუთარიღებლად წარმოებას, რაც შეუძლებელს ხდიდა დოკუმენტების წარმოდგენის რეალური ვადების დადგენას.

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებისაგან განსხვავებული მოცულობების შესრულებას, რაც ვლინდებოდა შესასრულებელ და შესრულებულ

სამუშაოთა დოკუმენტაციებში, მხარეებს შორის ყოველგვარი ურთიერთშეთანხმებების გარეშე. (დოკუმენტაციის შედგენა და წარმოდგენა ატარებს ფორმალურ ხასიათს).

- ექსპერტიზის დასკვნები ატარებდა ფორმალურ ხასიათს, მას დაკარგული ჰქონდა ძირითადი არსი და დანიშნულება დასკვნის არსებობისა. ასევე, ხშირ შემთხვევებში დასკვნები გაცემული იყო ექსპერტების მიერ, რომელთა კვალიფიკაცია-კომპეტენტურობის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი წარმოდგენილი არ იყო. დასკვნები გაცემული იყო დოკუმენტების შედარებებზე და არა, წარმოდგენილი მონაცემების რეალურად გადამოწმებაზე დაყრდნობით. (ექსპერტები ყველა შემთხვევაში გასცემდნენ დადებით დასკვნებს). უმეტეს შემთხვევებში, სამუშაოებზე დასკვნები გაცემული იყო ერთი და იგივე ექსპერტების მიერ.

- პრიორიტეტულად ძირითადად მიჩნეული იყო შიდა რემონტის სამუშაოები, რაზედაც მიმართული იყო ბმა-ს განვითარების პროგრამის დაზუსტებული ბიუჯეტების 60-70%.

- ჩატარებულ სამუშაოებზე, თანხები გადარიცხული იყო ძალადაკარგული განკარგულებებით, რაზედაც გამგეობის მხრიდან არ იყო გატარებული სათანადო რეაგირებები - დოკუმენტების იურიდიულად გამართვის კუთხით.

- გამოიკვეთა სამუშაოთა შესრულება ვადების დაგვიანებით.

- ფულადი წახალისებები გაიცემოდა ყოველგვარი საფუძვლის და დასაბუთების გარეშე.

სარევიზიო კომისიის ინიციატივით, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის შესახებ პროგრამის თანახმად ააიზ „ლაბორატორია“-ს, მთავრობის დადგენილებით დაევალა ბმა-ს დაფინანსების ფარგლებში, საწყის ეტაპზე წარმოდგენილი დეფექტური აქტებისა და ხარჯთაღრიცხვების შემოწმება და ექსპერტიზა, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მუდმივი ზედამხედველობის განხორციელება, ხოლო სამუშაოების დასრულების შემდგომ წარმოდგენილი ფორმა №2-ების ექსპერტიზა და დამტკიცება, მათ შორის, წარმოდგენილი ფასების საბაზრო ფასებთან შედარება. აღნიშნული წესით ასევე განისაზღვრა, პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ სამუშაოთა პრიორიტეტები. 2015 წლის პირველ ნახევარში ააიზ „ლაბორატორია“-ს მიერ დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვებიდან ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტიდან დაზოგილ იქნა დაახლოებით 2 მილიონ ლარამდე.

კეთილმოწყობის და ინფრასტრუქტურის განვითარების სამუშაოების კუთხით ადგილი ჰქონდა - სატენდერო თანხების არასწორად განსაზღვრას, რაც გამოწვეული იყო შესყიდვის ობიექტის ბაზრის არასათანადო კვლევით. კერძოდ, შემსყიდველის მხრიდან არ ხდებოდა შესასყიდი საქონლის რაოდენობის ზუსტად და სწორად შესწავლა-განსაზღვრა. ერთი და იგივე სამუშაოების შესყიდვისას ტენდერით გამოცხადებული სავარაუდო

ღირებულება არ გაიანგარიშებოდა რეალური საბაზრო ფასების მიხედვით, არ ეყრდნობოდნენ იმ პერიოდისთვის არსებულ სამშენებლო რესურსების ფასებს ან სხვა რაიმე რეალურ გაანგარიშებებს. გამომდინარე აღნიშნულიდან გამოიკვეთა შემთხვევები, სადაც ერთი და იგივე სამუშაოების შესყიდვაში, ერთი და იგივე მიმწოდებლისათვის სხვადასხვა, რეალური ღირებულებებისგან მკვეთრად განსხვავებული ფასებია გადახდილი.

ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არასათანადოდ შესრულებას, რაც გამოიხატებოდა შესასრულებელ და შესრულებულ სამუშაოებს შორის სხვაობებში.

ასევე, ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებულ 100%-იანი წილის მქონე შპს-ში კაპიტალის გაზრდა ხდებოდა მათგან შემოსული წერილობითი თხოვნების საფუძველზე, ყოველგვარი დასაბუთებისა და გაანგარიშების გარეშე, რითაც ბიუჯეტის თანხების განკარგვა ხდებოდა დამტკიცებული ბიუჯეტის უგულებელყოფით, კერძოდ, აღნიშნული ქმედებით ხდებოდა 2010 წლის 29 ოქტომბრის საქართველოს ეკონომიკის მინისტრის ბრძანებით N1-1/1732 დამტკიცებული და ქ.თბილისის მთავრობის 2011 წლის 16 თებერვლის N03.32.101 დადგენილებით დამტკიცებული წესების დარღვევა (ქალაქ თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული ან/და მისი 100% წილობრივი მონაწილეობით არსებული სამეწარმეო და იურიდიული პირების ქონების განკარგვის წესის 5.2 მუხლის მოთხოვნების, ასევე კატეგორიული მოთხოვნაა საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი აუდიტორული და საექსპერტო დასკვნის საფუძველზე), რაც შესაბამისად იწვევდა ერთის მხრივ თანხების არამიზნობრივად ხარჯვას და მეორეს მხრივ 100%-იან სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილ შპს -ებში ზარალის გაზრდას.

ასევე, უფლებამოსილების ფარგლებში კომისიასთან ერთად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე 14 ორგანიზაციის შემოწმება-ანალიზის მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაგზავნილ იქნა შესაბამის ორგანოებში.

პატივისცემით,
საკრებულოს წევრი

ნუგზარ მაღალურაძე